

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №72  
2017 წლის 22 დეკემბერი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

ა) განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები 8587,0 ათ. ლარით;

ა.ბ) გადასახდელები 8587,0 ათ. ლარი;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი 4681,6 ათ. ლარი;

მათ შორის:

ა.გ.ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 4486,6 ათ.ლარი;

ა.გ.ბ) მიზნობრივი ტრანსფერი 195,0 ათ. ლარი.

ა.დ) სარეზერვო ფონდი 50,0 ათ. ლარით.

**მუხლი 2**

დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

**მუხლი 3**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილება.

**მუხლი 4**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

სენაკის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ რუსია

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

თავი I

სენაკის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი		სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



			ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები		ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	შემოსავლები
შემოსავლები	11703,2	11774,8	3526,8	8248,0	8387,0	0,0	8387,0
გადასახადები	3082,0	3120,0	0,0	3120,0	2800,0	0,0	2800,0
გრანტები	8174,0	7840,2	3526,8	4313,4	4681,6	0,0	4681,6
სხვა შემოსავლები	447,1	814,6	0,0	814,6	905,4	0,0	905,4
ხარჯები	7897,8	7571,4	416,9	7154,5	6990,7	0,0	6990,7
შრომის ანაზღაურება	2175,8	1698,1	0,0	1698,1	1718,4	0,0	1718,4
საქონელი და მომსახურება	713,5	876,3	0,0	876,3	953,9	0,0	953,9
სუბსიდიები	3715,4	3680,1	0,0	3680,1	3781,9	0,0	3781,9
გრანტები	229,5	11,9	0,0	11,9	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	485,8	493,0	0,0	493,0	422,6	0,0	422,6
სხვა ხარჯები	577,8	812,1	416,9	395,2	113,9	0,0	113,9
საოპერაციო საღდო	3805,4	4203,3	3109,8	1093,5	1396,3	0,0	1396,3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3614,0	4395,3	3253,5	1141,8	1396,3	0,0	1396,3
ზრდა	3703,3	4636,0	3253,5	1382,5	1596,3	0,0	1596,3
კლება	89,3	240,7	0,0	240,7	200,0	0,0	200,0
მთლიანი საღდო	191,4	-191,9	-143,7	-48,3	0,0	0,0	0,0
ფინანსური აქტივების ცვლილება	191,4	-193,4	-143,7	-49,8	0,0	0,0	0,0
ზრდა	194,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	194,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	3,1	193,4	143,7	49,8	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	3,1	193,4	143,7	49,8	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ცვლილება	0,0	-1,5	0,0	-1,5	0,0	0,0	0,0
კლება	0,0	1,5	0,0	1,5	0,0	0,0	0,0
საშინაო	0,0	1,5	0,0	1,5	0,0	0,0	0,0



ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
---------	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

**მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება**  
 განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდებები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11792,5	12015,5	3526,8	8488,7	8587,0	0,0	8587,0
შემოსავლები	11703,2	11774,8	3526,8	8248,0	8387,0	0,0	8387,0
არაფინანსური აქტივების კლება	89,3	240,7		240,7	200,0		200,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახადები	11601,0	12208,9	3670,4	8538,5	8587,0	0,0	8587,0
ხარჯები	8004,9	8004,9	416,9	7154,5	6990,7		6990,7
არაფინანსური აქტივების ზრდა	3703,3	4636,0	3253,5	1382,5	1596,3		1596,3
ვალდებულებების კლება	0,0	1,5		1,5	0,0		0,0
ნაშთის ცვლილება	191,5	-193,4	-143,7	-49,8	0,0	0,0	0,0

**მუხლი 3. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები**  
 განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8387,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2016 წლის ფაქტი	2017 გეგმა			2018 პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	1	11703,2	11774,8	3526,8	8248,0	8387,0	0,0	8387,0



გადასახადები	11	3082,0	3120,0	0,0	3120,0	2800,0	0,0	2800,0
გრანტები	13	8174,0	7840,2	3526,8	4313,4	4681,6	0,0	4681,6
სხვა შემოსავლები	14	447,1	814,6	0,0	814,6	905,4	0,0	905,4

**მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2800,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2016 ფაქტი	2017 გეგმა			2018 პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	3082,0	3120,0	0,0	3120,0	2800,0	0,0	2800,0
საშემოსავლო გადასახადი	11111	818,7	950,0		950,0	750,0		750,0
ქონების გადასახადი	113	2263,4	2170,0	0,0	2170,0	2050,0	0,0	2050,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	1695,9	1800,0		1800,0	1689,5		1689,5
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131113	11,6	9,5	0,0	9,5	0,0	0,0	0,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	11311031	0,1	5,0		5,0	0,0		
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	11311032	11,5	4,5		4,5	0,0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131104	304,9	245,0	0,0	245,0	245,0	0,0	245,0
ფიზიკურ პირებიდან	11311041	158,2	140,0		140,0	140,0		140,0
იურიდიულ პირებიდან	11311042	146,7	105,0		105,0	105,0		105,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1131105	251,0	115,5	0,0	115,5	115,5	0,0	115,5
ფიზიკურ პირებიდან	11311051	16,0	18,0		18,0	18,0		18,0
იურიდიულ პირებიდან	11311052	234,9	97,5		97,5	97,5		97,5



**მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4681,6 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2016 ფაქტი	2017 გეგმა			2018 პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	8174,0	7840,2	3526,8	4313,4	4681,6	0,0	4681,6
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	8174,0	7840,2	3526,8	4313,4	4681,6	0,0	4681,6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	4208,7	4313,4	0,0	4313,4	4681,6	0,0	4681,6
გათანაბრებითი ტრანსფერი	1331111	4013,7	4000,8		4000,8	4486,6		4486,6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1331112	195,0	195,0		195,0	195,0		195,0
სხვა	1331114		117,6		117,6	0,0		0,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3965,3	3526,8	3526,8	0,0	0,0	0,0	0,0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		2333,0	2526,8	2526,8		0,0	0,0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		648,9	0,0			0,0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი		983,4	1000,0	1000,0	0,0	0,0	0,0	0,0

**მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 905,4 ათ. ლარის ოდენობით. ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	კოდი	2016 ფაქტი	2017 გეგმა			2018 პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



		ტრანსფერები			ტრანსფერები			
სხვა შემოსავლები	14	447,1	814,6	0,0	814,6	905,4	0,0	905,4
შემოსავლები საკუთრებიდან	141	154,6	217,5	0,0	217,5	122,2	0,0	122,2
პროცენტები	1411	31,1	14,0		14,0	20,0		20,0
რენტა	1415	123,5	203,5	0,0	203,5	102,2	0,0	102,2
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	84,0	187,5		187,5	90,0		90,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	39,5	16,0		16,0	12,2		12,2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	48,1	92,4	0,0	92,4	88,0	0,0	88,0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	38,0	81,7	0,0	81,7	80,0	0,0	80,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	24,8	24,6		24,6	30,0		30,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	10,1	10,7	0,0	10,7	8,0	0,0	8,0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	10,1	10,7		10,7	8,0		8,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	626,0	492,6		492,6	665,2		665,2
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	0,5	12,1		12,1	30,0		30,0

### მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6990,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხარჯები	7897,8	7571,5	416,9	7154,5	6990,7	0,0	6990,7



შრომის ანაზღაურება	2175,8	1698,1	0,0	1698,1	1718,4	0,0	1718,4
საქონელი და მომსახურება	713,5	876,3	0,0	876,3	953,9	0,0	953,9
სუბსიდიები	3715,4	3680,1	0,0	3680,1	3781,9	0,0	3781,9
გრანტები	229,5	11,9	0,0	11,9	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	485,8	493,0	0,0	493,0	422,6	0,0	422,6
სხვა ხარჯები	577,8	812,1	416,9	395,2	113,9	0,0	113,9

**მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1396,3 ათასი ლარით.

**მათ შორის:**

ა) განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1596,3 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის პროგნოზი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5,1	35,5		35,5	77,4		77,4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	13,8	0,0	13,8	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3657,3	4504,0	3253,5	1250,5	1501,4	0,0	1501,4
04 00	განათლება	8,0	40,6	0,0	40,6	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	17,3	20,1	0,0	20,1	17,5	0,0	17,5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	15,5	22,0		22,0	0,0	0,0	0,0



ბ) განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 200,0 ათასი ლარი

დასახელება	კოდი	206 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	31	89,3	240,7	200,0
ძირითადი აქტივები	311	47,6	90,7	100,0
მატერიალური მარაგები	312	0,0	0,0	0,0
ფასეულობები	313	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	314	41,7	150,0	200,0
მიწა	3141	41,7	150,0	100,0
სხვა ბუნებრივი აქტივები	3143	0,0	0,0	0,0

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი				2018 პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
701 საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2727,0	2438,0	0,0	2438,0	2592,2	0,0	2592,2	
70111 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2727,0	2388,9	0,0	2388,9	2541,2	0,0	2541,2	
70112 ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	48,1	0,0	48,1	50,0	0,0	50,0	
7016 ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	1,0		1,0	1,0		1,0	
702 თავდაცვა	99,0	99,1	0,0	99,1	79,0	0,0	79,0	
704 ეკონომიკური საქმიანობა	279,2	4968,5	3444,1	1524,4	1405,4	0,0	1405,4	
სოფლის მეურნეობა, სატყეო								





7042	მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	2,9	3,6	0,0	3,6	4,0	0,0	4,0
70421	სოფლის მეურნეობა	2,9	3,6		3,6	4,0		4,0
7045	ტრანსპორტი	249,3	2167,5	1944,0	223,5	235,0	0,0	235,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	249,3	2167,5	1944,0	223,5	235,0	0,0	235,0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	26,9	2797,4	1500,1	1297,3	1166,4	0,0	1166,4
705	გარემოს დაცვა	894,6	724,8	0,0	724,8	655,0	0,0	655,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	894,6	724,8		724,8	655,0		655,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	46,8	5,8	0,0	5,8	106,0	0,0	106,0
7061	ბინათმშენებლობა	2,3	1,0	0,0	1,0	0,0	0,0	0,0
7063	წყალმომარაგება	37,4	0,0		0,0	0,0		0,0
7064	გარე განათება	0,0	0,0	0,0	0,0	100,0	0,0	100,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	7,0	4,8	0,0	4,8	6,0	0,0	6,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	139,0	140,6	0,0	140,6	140,6	0,0	140,6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	139,0	140,6	0,0	140,6	140,6	0,0	140,6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1465,0	1601,4	53,2	1548,2	1556,6	0,0	1556,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	610,4	496,9	0,0	496,9	481,8	0,0	481,8
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	716,5	686,4	53,2	633,2	624,4	0,0	624,4
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	32,0	30,0	0,0	30,0	30,0	0,0	30,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	106,1	388,1		388,1	420,4		420,4



709	განათლება	1354,7	1553,2	173,1	1380,0	1370,0	0,0	1370,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1155,8	1220,0	0,0	1220,0	1300,0	0,0	1300,0
7092	ზოგადი განათლება	59,5	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	59,5	50,0	0,0	50,0	50,0	0,0	50,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	139,4	283,2	173,1	110,0	20,0	0,0	20,0
710	სოციალური დაცვა	774,6	677,4	0,0	677,4	682,2	0,0	682,2
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	382,0	384,8	0,0	384,8	333,0	0,0	333,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	360,6	362,5	0,0	362,5	307,0	0,0	307,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	21,4	22,3	0,0	22,3	26,0	0,0	26,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	39,5	39,1	0,0	39,1	40,4	0,0	40,4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	353,0	253,6	0,0	253,6	308,8	0,0	308,8
	სულ	7779,8	12208,9	3670,4	8538,5	8587,0	0,0	8587,0

**მუხლი 10. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო არის 0.

**მუხლი 11. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 0.
2. განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.

**მუხლი 12. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0

**მუხლი 13. სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

#### **მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 195,0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 103,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 79,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 13,0 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

### **თავი II**

#### **სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

#### **მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

##### **1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: შიდა მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, ასევე კეთილმოეწყობა ტროტუარები და ბორდიურები, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, მოეწყობა სპორტული მოედნები, დაფინანსდება ქალაქის კეთილმოეწყობის სამუშაოები, ინფრასტრუქტურული სამუშაოების თანადაფინანსება.

##### **1.1. გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01)**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, ასფალტობეტონის საფარი დაიგება ქალაქის ქუჩებში, მოიხრიშება და მოწესრიგდება თემების/სოფლის შიდა საუბნო გზები.

##### **1.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 3 02)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

##### **1.2.1. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, რაც ხელს შეუწყობს დამის პერიოდში მოსახლეობის კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

##### **1.2.2. მუნიციპალიტეტის კეთილმოეწყობისა და გამწვანების მოვლა-პატრონობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03)**



ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, როგორც საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან ასევე ქალაქის სხვა ტერიტორიიდან. აგრეთვე გათვალისწინებულია ქალაქის ქუჩებისა და ტროტუარების აღდგენა, სკვერების პარკებისა და გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია. შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

### **1.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 06)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთათვის ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

### **1.4. სოფლის მეურნეობის ღონისძიება (პროგრამული კოდი 03 09)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: პროგრამა „მომავლის ბაღი“, რომელიც გულისხმობს ვაზისა და ხეხილის თანამედროვე სანერგე მასალის შეძენას და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას, ტერიტორიული ორგანოებისა და სააღმზრდელო დაწესებულებებში; ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტების და ახალგაზრდა ფერმერების გადამზადება ხეხილის ნერგების გასხვლა-მოყვანის შესწავლის მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით დაინტერესებული პირების გაყვანა სხვადასხვა რეგიონებში აგრარული სექტორის მიღწევების გაცნობის მიზნით; სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფესტივალებსა (ქართული ყველის, ქართული ღვინის) და სერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება. ნიადაგის აგროქიმიური ანალიზი;

### **1.6. რეგიონის ფონდის თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 10)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

## **2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

### **2.1. სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ და ესთეტიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი ეკისრება ბავშვის განვითარებაში. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ საბავშვო ბაღებში ხდება. აქ ეყრება საფუძველი მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სკოლამდელ აღზრდას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 27 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 1400 ბავშვი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

### **2.2. საჯარო სკოლების პედაგოგებზე დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა სუბსიდირება.



### 2.3. განათლების ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 04)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური

პროგრამის ბიუჯეტი - 20000 ლარი

**პროგრამის აღწერა და მიზანი:** პროგრამა გულისხმობს, სენაკის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებას; სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას.

**მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** სენაკის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლება, ბავშვების ფიზიკური და სულიერი აღზრდა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება.

#### ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

N	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	თანხა (ლარებში)
1	ბავშთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსი.	IV მარტი	2500
2	მხიარული სტარტები	აპრილი	1850
3	ბავშთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი	ივნისი	2000
4	საველე არქეოლოგია	მაისი-ივნისი	2100
5	ეტალონი	აპრილი	3100
6	მერის სტიპენდია წარმატებული მოსწავლეებისათვის	წლის განმავლობაში	2000
7	„მერის საჩუქარი ბავშვებს“ - ექსკურსიები ნოქალაქევეში	აპრილი-მაისი	2500
8	ქართული რომანსების ლექცია-კონცერტი	აპრილი	2500
9	მოსწავლე-ახალგაზრდობის პოეზიის რეგიონალური ფესტივალ-კონკურსი	აპრილი	1450
	სულ		20000

### 3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად



აუცილებელია ხელი შეუწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მის ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

### 3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

#### 3.1.1. სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

1. ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის ხელშეწყობის კუთხით ფუნქციონირებს ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ (რომლის შემადგენლობაში შედის სპორტის სასახლე, სასპორტო სკოლა). პროგრამის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სპორტის პროპაგანდა, სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენას, მათი დაოსტატებისათვის ზრუნვა, სპორტული ღონისძიებების მომზადებას და ჩატარებას. სპორტისა და ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ორგანიზაციას. ამჟამად ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების 41 სექცია, მათგან: ძიუდო (4 სექცია) 45 ბავშვზე, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის (6 სექცია) 73 ბავშვზე; კარატე-დო (6 სექცია) 73 ბავშვზე; ჯადრაკი (4 სექცია) 59 ბავშვზე; რაგბი (6 სექცია) 43 ბავშვზე; კალათბურთი (2 სექცია) 31 ბავშვზე; ტაეკვანდო (4 სექცია) 51 ბავშვზე; ხელბურთის (2 სექცია) 17 ბავშვზე; ფუტზალის (1 სექცია) 15 ბავშვზე; კრივი (8 სექცია) 68 ბავშვზე; სასპორტო გაერთიანებაში სპორტული ღონისძიებები ეწყობა წლის დასაწყისში დამტკიცებული სპეციალური გეგმის მიხედვით. გარდა ამისა სასპორტო გაერთიანების სექციებში გაერთიანებული სპორტსმენები და მათ მიერ აღზრდილი ახალგაზრდები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას ქვეყნის და საერთაშორისო მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში, სადაც საკმაოდ მაღალი შედეგები აქვთ მოპოვებული – არაერთი მათგანია ჩარიცხული ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში. დაწესდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის რომლებიც არ იხდიან თანხას, ხოლო ყოველთვიური გადასახადის თანხა განისაზღვროს 5 ლარის ოდენობით. გაეწიოს 50%-იანი შეღავათი ერთიდან 2 ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში; გაუქმდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა ოჯახებს მინიჭებული აქვთ სოციალურად დაუცველთა ბაზაში 100000 და 100000-ზე დაბალი ქულა.

#### 3.1.2. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ორი მოსამზადებელი (8-9 წელი) და ხუთი ვაჟთა ასაკობრივი U-10, U-12, U-13, U-16, U-14 ჯგუფები. ასევე საფეხბურთო კლუბი „ეგრისი“. სულ დღეის მდგომარეობით საფეხბურთო კლუბში გაწევრიანებულია 180 სპორტსმენი ზემოთ ჩამოთვლილი გუნდები მონაწილეობენ სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ჭაბუკთა გათამაშებაში. საფეხბურთო კლუბი „ეგრისი“ კი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის (დასავლეთ ზონა) გათამაშებაში, რომელიც ფინანსდება ა(ა) ი.პ. ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ.

კლუბის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფეხბურთის პოპულარიზაცია, მისი განვითარება, აგრეთვე სელექციის მეშვეობით შერჩეული წარმატებული პერსპექტიული ჭაბუკებისა და გოგონების მომზადებას, როგორც საქართველოს ეროვნული ასაკობრივი გუნდებისთვის, ასევე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით მონაწილე სხვადასხვა ლიგის გუნდებისათვის. კლუბის მიზანია ახალგაზრდა ფეხბურთელების დაოსტატება. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ხელს უწყობს კლუბის მოსწავლეებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნას, სამედიცინო დიაგნოსტიკურ, სპორტულ გამაჯანსაღებელი პროცესების ორგანიზებას, სოციალური პირობების გაუმჯობესებას. დაწესდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის რომლებიც არ იხდიან თანხას, ხოლო ყოველთვიური გადასახადის თანხა განისაზღვროს 10 ლარის ოდენობით. გაეწიოს 50%-იანი შეღავათი ერთიდან 2 ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში; გაუქმდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა ოჯახებს მინიჭებული აქვთ სოციალურად დაუცველთა ბაზაში 100000 და 100000-ზე დაბალი ქულა.



### 3.1.3. სპორტულ ღონისძიებათა პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 21800 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ახალგაზრდების ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მოტივაციის გაზრდა, სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების წახალისება, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება. ოლიმპიზმის იდეების დამკვიდრება-განვითარება.

მოსალოდნელი შედეგი: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი. ცნობილი სენაკელი სპორტსმენებისა და მწვრთნელების პატივგება; მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება.

#### ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა

N	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	თანხა
1	ქ.შარტავას სახელობის ტურნირი ფუთბალში	თებერვალი –მარტი	900
2	სასკოლო სპორტული ოლიმპიადა(საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით)	თებერვალი –მარტი	4512
3	სამოყვარულო ფეხბურთის გუნდის ტრანსპორტირება (ტარდება საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებით)	წლის მანძილზე	1000
4	ახალგაზრბიდული ფესტივალი 2018 „სპორტი ბარიერების გარეშე“ მონაწილეთა ტრანსპორტირება (ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით)		500
5	26 მაისის სპორტული ღონისძიებები(ფეხბურთი სკოლებს შორის, მარათონი, ველომარათონი)	მაისი	2992
6	ქუჩის კალათბურთი	აგვისტო	610
7	მაგიდის თამაშების კვირეული	აგვისტო	2336
8	ემილ ყურაშვილის სახელობის ტურნირი	ოქტომბერი	1010
10	მერის სახელობის სტიპენდია წარმატებული სპორტსმენებისათვის	წლის მანძილზე	3000
11	წარმატებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება	დეკემბერი	4940



სულ ჯამში სავარაუდო ღირებულება		21800
--------------------------------	--	-------

### 3.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, ჩატარდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

#### 3.2.1. კულტურული ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ სუბსიდიური დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყოფს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას სამხატვრო გალერეის საგამოფენო სივრცეში. მართავს და მითითებებს აძლევს მის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებს. უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ბიბლიოთეკა, ერთი საჯარო, ერთი საბავშვო და 15 სათემო. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 43000 მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 2900 მოსწავლეს. ბიბლიოთეკებში ყოველწლიურად შემოდის ახალი ლიტერატურა. მიმდინარე წელს შემოვიდა 1007 ცალი წიგნი. გამოწერილია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 26 დასახელების ჟურნალ-გაზეთი, ყველა თემი იღებს რამოდენიმე დასახელების პერიოდიკას. ბიბლიოთეკაში ტარდება სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები, ეწყობა შეხვედრები, მკითხველთა კომფერენციები, თემატური და ლიტერატურული საღამოები, ატარებს საუბრებს, აწყოფს გამოფენებს, მართავს სხვადასხვა სახის მასობრივ ღონისძიებებს. ბიბლიოთეკებს გააჩნია თავისი ფუნქციები და დადგენილი წესებითა და ფუნქციებით ემსახურება ყველა კატეგორიების მკითხველს, მიუხედავად ასაკისა, მრწამსისა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ლიტერატურის ფართო ინფორმირებას. ბიბლიოთეკის საქმიანობას წარმართავენ სპეციალისტები, ბიბლიოთეკარები, რომელთაც აქვთ კვალიფიკაცია და პროფესიონალური ცოდნა, პასუხისმგებელნი არიან მთლიანად წიგნად ფონდზე და საერთოდ მუშაობაზე. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში გაიცემა წიგნები დაახლოებით 22000 მკითხველზე. მუნიციპალიტეტში სულ არის 160257 ცალი წიგნი. ცენტრი კოორდინაციას უწევს ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, მისი მისია მდგომარეობს მის ტერიტორიაზე ოდითგანვე და დღემდე მცხოვრებ ხალხთა ისტორიის ყოფისა და შემოქმედებითი სულის შენარჩუნებაში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა სტუმრისათვის მის გაცნობაში. მუზეუმი ეძებს, იკვლევს და სწავლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ ფასეულობებს, ორიენტირებულია კოლექციების შევსებაზე. დგება საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა პროგრამები. მუზეუმში განათლებას იღებს ყველა კატეგორიის ადამიანი, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის იგი წარმოადგენს ცოდნის განმტკიცების კერას. ჟიული შარტავას მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდში 5048 ექსპონატია. ჟიული შარტავას მუზეუმში 418 ექსპონატია, თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმის ფონდი შეადგენს 662 ექსპონატს. არნოლდ ჩიქობავას სახლ-მუზეუმის ფონდი შეადგენს 291 ექსპონატს. მუზეუმების მიზანია მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პროპაგანდა-პოპულარიზაცია. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად წარმოდგენილია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტო მასალებითა და პირადი ნივთებით. კულტურის სახლის საქმიანობას წარმართავს სპეციალისტები და კოორდინატორები, რომლებიც ქალაქად და თემებში აწარმოებენ კულტურულ და მასობრივ ღონისძიებებს. აგროვებენ ფოლკლორის ნიმუშებს და ახდენენ მის პოპულარიზაციას. ამასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური ხელმძღვანელობს კულტურული ღონისძიებების უზრუნველყოფას კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედებითი ახალგაზრდების მხარდაჭერას, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების და სხვა აქტივების ორგანიზებას.





თანამედროვე ახალგაზრდებში ესთეტიკური დონის ამაღლებისა და სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ცენტრი თავის აღსაზრდელებთან ერთად მართავს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. თითოეული ღონისძიება ითვალისწინებს მოსწავლის მეტყველების დახვეწას, სასცენო კულტურის შეძენას. ქართული ხალხური ცეკვების შემსწავლელი წრე, წრის მიზანია მოსწავლეებმა შეისწავლონ სხვადასხვა კუთხის ცეკვები, მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ფესტივალებსა და კონკურსებში, საქართველოში და ქვეყნის გარეთ; საესტრადო სიმღერების შემსწავლელი წრე, ასწავლიან მოსწავლეებს ქართულ სიმღერებს, რათა მათ შეძლონ მრავალხმიანობის გამოცნობა და შესაბამისად თვითონაც შეასრულონ იგი; საესტრადო საკრავების წრე, ხელს უწყობს მოსწავლეთა მუსიკალური დონის ამაღლებას, მუსიკისა და სიმღერისადმი დაინტერესებას, მოსწავლეებმა შეძლონ თვითონ შეასრულონ ინსტრუმენტებზე აკორდების შესწავლა და დაკვრა; სამეჯლისო ცეკვების სექცია; ხელმარჯვეთა სექცია; კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი წრე; დეკლამატორთა სექცია; ეკოლოგიისა და ეკოტურიზმის განვითარების კლუბი „მწვანე ერთობა“, რომლის მიზანია კლიმატით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების ადაპტაციისა და შერბილების ღონისძიებების გატარებისა და ახალგაზრდობაში გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლება. გარდა ამისა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს უმცროსკლასელთა კლუბი „გლობუსი“; კინოკლუბი; საბავშვო-საყმაწვილო თეატრალური სექცია; ნორჩ-შემოქმედთა და ხელოვნების მოყვარულთა კლუბი „მუზა“; მშობელთა შენატანი ფასიანი სწავლების სექციებში ერთ მოსწავლეზე შეადგენს: ქართული ხალხური ცეკვის წრეზე, სამეჯლისო ცეკვების წრეზე, საესტრადო სიმღერების წრეზე, საესტრადო საკრავების შემსწავლელ წრეზე 15 ლარს და კომპიუტერული სწავლების წრეზე 20 ლარს. გაეწიოს 50%-იანი შეღავათი ერთიდან 2 ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში; გაუქმდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა ოჯახები იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში 70000 დაბალი ქულა.

### **3.2.2. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა).ი.პ „სენაკის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ რაც გამოიხატება ძირითადად შრომის ანაზღაურების სუბსიდირებაში. სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო(ვიოლინო) განყოფილება, საგუნდო სიმღერის სპეციალობა - სწავლის ხანგრძლივობა 7 წელი, საესტრადო განყოფილება, გიტარისა და ხალხური საკრავთა ფასიანი ჯგუფები-სწავლის ხანგრძლივობა 5 წელია. ბავშვთა რაოდენობა სკოლაში შეადგენს 207 აღსაზრდელს. მშობელთა შენატანი თვეში: საესტრადო განყოფილებაზე 23 ლარია; ფორტეპიანოზე 25 ლარი; ვიოლინოზე 20 ლარი; საგუნდოზე 20 ლარი. ფუნქციონირებს ფასიანი ჯგუფები: გიტარა 20 და 25 ლარი. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ შიდასასკოლო, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში. სკოლა ზრუნავს გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, დაეხმაროს მათ პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში, მუსიკალური კარიერის გაგრძელებაში. გაეწიოს 50%-იანი შეღავათი ერთიდან 2 ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში; გაუქმდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა ოჯახები იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში 70000 დაბალი ქულა.

### **3.2.3. საბავშვო სამხატვრო სკოლის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსირდება ა.ი.პ „სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა“. ბავშვთა რაოდენობა სკოლაში შეადგენს 50 ბავშვს. სკოლაში ეწყობა შიდა საკლასო გამოფენები. სემესტრის ბოლოს საერთო სასკოლო გამოფენა. გამოფენებში ვლინდებიან საუკეთესო ნიჭის მქონე მოსწავლეები. წარმატებული მოსწავლეები ჯილდოვდებიან სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.მშობელთა შენატანი თვეში 10 ლარი.გაეწიოს 50%-იანი შეღავათი ერთიდან 2 ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში; გაუქმდეს გადასახადი იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა ოჯახები იმყოფებიან სოციალურად დაუცველთა ბაზაში 70000 დაბალი ქულა.

### **3.2.4. კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)**

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი: 38900 ლარი



**ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:** პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები უზრუნველყოფს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, დაგეგმვასა და მისი რეალიზაციის კოორდინაციას. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერას, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალების, გამოფენების და სხვა აქტივობების ორგანიზებას.

**მოსალოდნელი შედეგი:** საზოგადოების პოზიტიური განწყობისა და ესთეტიკური ღონის ამაღლება, უნიკალური და უძველესი ქართული კულტურის ფასეულობების მომავალი თაობებისათვის გადაცემა, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ახალგაზრდობის დაინტერესების ზრდა თეატრალური, სამხატვრო და სამუსიკო დარგების მიმართ, ინტელექტუალური ღონის ამაღლება.

**ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა**

N	ღონისძიების დასახელება	ჩატარების თარიღი	თანხა
1	„მხოლოდ შენ ერთს!“ - დედის დღის აღნიშვნა	3 მარტი	2 000
2	პროექტი „ქართველები უცხოეთში“	მარტი	0
3	დედაენის დღისადმი მიძღვნილი საღამო	14 აპრილი	0
4	ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღე	18 აპრილი	0
5	ოჯახის სიწმინდის დაცვისადმი მიძღვნილი საღამო	19 მაისი	0
6	კულტურული განვითარების საერთაშორისო დღე	21 მაისი	0
7	საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე	26 მაისი	5 250
8	წოდარ დუმბაძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო - „ადამიანის სული გაცილებით მეტია, ვიდრე სხეული...“	ივნისი	200
9	ქორეოგრაფიის დღის აღნიშვნა	11 ივნისი	930
10	8 აგვისტოსადმი მიძღვნილი თემატური საღამო	8 აგვისტო	0
11	ახალი სასწავლო წლის აღნიშვნა	15 სექტემბერი	4100
12	მასწავლებელთა დღის აღნიშვნა	5 ოქტომბერი	3320
13	„ეგრისობის“ სახალხო დღესასწაული	ოქტომბერი	10 000
14	შშმ პირთა დღე	3 დეკემბერი	0



15	„პატრიარქი და სენაკი“ - პატრიარქის აღსაყდრების დღის აღნიშვნა	25 დეკემბერი	0
16	საახალწლო ნაძვის ხის საზემოდ ანთება	27 დეკემბერი	550
17	გაწეული მუშაობის შედეგების პრეზენტაცია	27 დეკემბერი	0
18	საახალწლო ღონისძიება	31 დეკემბერი	550
19	გმირთა მემორიალური დაფის მოწყობა		12000
	ჯამი		38900

### 3.3. ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის განმახორციელებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური

პროგრამის ბიუჯეტი 20400 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების სოციალური დაცვა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა, საქართველოს



მასშტაბით ექსკურსიებისა და ახალგაზრდული ბანაკების მოწყობა.

**მოსალოდნელი შედეგი:** ახალგაზრდებში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი, ახალგაზრდების დაახლოება, მათი მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარება, ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში.

**ქვეპროგრამის ხარჯთაღრიცხვა**

№	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	თანხა
1	ტრენინგები(გენდერულ თანასწორობაზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე თვითპრევენაციაზე და სამოქალაქო განათლებაზე)	თებერვალი-მარტი	1962,5
2	ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“	წლის განმავლობაში	742
3	ექსკურსია წყალტუბოში პრომეთეს მღვიმე	ივნისი	2448
4	კინოსა და ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ღია ჩვენება	ივნისი	1860
5	ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე	12 აგვისტო	6250
6	ექსკურსია ანაკლიის აკვაპარკში	აგვისტო სექტემბერი	3700
7	საჯარო ლექციები	წლის განმავლობაში	1650
8	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს პროექტი მოხალისის მხარდაჭერა	ივნისი-დეკემბერი	787,5
9	CISV- საქართველოს საერთაშორისო ბანკის „Intenational Youth meeting“ თანადაფინანსება	წლის განმავლობაში	1000
	სულ ჯამში სავარაუდო ღირებულება		20400

**3.4. მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (პროგრამული კოდი 05 04)**

